

მოწვევა საინფორმაციო კამპანიაზე



მცირე/საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის

თარიღი: 25 მაისი, 2018

შეხვედრის ადგილი 1: მარნეული, ჯავახიშვილის სკვერი 13:00 - 14:30

შეხვედრის ადგილი 2: მარნეულის ბაზარი: 15:00 - 18:00

25 მაისს, 13:00 საათიდან ევროკავშირის ლურჯი ავტობუსი მარნეულში გააჩერებს. ავტობუსის მგზავრები არასამთავრობო ორგანიზაცია ირის ჯგუფისა და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის წარმომადგენლები არიან, რომლებიც საინფორმაციო გურის ფარგლებში სწორედ ამ დღისთვის მარნეულს ესტუმრებიან. ისინი მარნეულის მუნიციპალუტეტში მცხოვრებ მცირე და საშუალო ბიზნესში ჩართულებს, მეწარმეებს, ფერმერებს, დაინტერესებულ მოქალაქეებსა და გამგელებს თავიანთი ბიზნესისა თუ ბიზნეს იდეების განვითარების, სამეწარმეო საქმიანობის პოტენციალისა და ახალი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან.

- დაინტერესებული ხარ მეწარმეობით?
- გინდა, განავითარო შენი ბიზნესი?
- გინდა, გაეცნო, კონკრეტულად, რა შესაძლებლობებს გვთავაზობს ევროკავშირთან თანამშრომლობა? გაინტერესებს, როგორ?

მამინ ევროკავშირის ლურჯი ავტობუსი ქალაქ მარნეულში სწორედ თქვენთვის აჩერებს! საინფორმაციო კამპანიის ორგანიზატორები დაინტერესებულ მხარებს უახლეს ინფორმაციას მიაწვდიან მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოციაციის შეთანხმების ფარგლებში. ირის ჯგუფის წარმომადგენლები თითოეულ დაინტერესებულთან გამართავენ საკონსულტაციო შეხვედრას ასოციაციის შეთანხმებასა და მასთან ერთად, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ და იმ შესაძლებლობებზე, რომლებსაც აღნიშნული თანამშრომლობა საქართველოს მოქალაქეებსა და თითოეულ მეწარმეს სთავაზობს. მოსახლეობას საშუალება ექნება, კითხვები დაუსვას წარმომადგენლებს, გაეცნოს საინფორმაციო მასალას და ინტერაქტიულ და წამახალისებელ აქტივობებში მიიღოს მონაწილეობა.

გელით მარნეულის სკვერში 13:00 საათიდან 14:30 საათამდე, ხოლო მარნეულის ბაზრის გერიტორიაზე: 15:00 საათიდან 18:00 საათამდე. კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით.

საინფორმაციო შეხვედრები გარდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან (EPRC) და ასოციაცია ათინათთან თანამშრომლობით.

საკონტაქტო: მარგალიტა ჯაფარიძე
ირის ჯგუფი - მრავალფეროვნების მართვა
ელ. ფოსტა: margojafaridze@gmail.com
მობილური: 599 555 276



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



Konrad
Adenauer
Stiftung



Economic Policy Research Center
აღმოსავლეთი კონტიპის კვლევის ცენტრი

